

რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის
2006 წლის 14 დეკემბრის N 3956-რს დადგენილებით

კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენცია

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და ამ კონვენციის შემუშავებაში მონაწილე სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ითავალისწინებენ ევროპის საბჭოს მიზანს მის წევრ სახელმწიფოთა შორის მტკიცე ერთობის მიღწევაზე,

ალიარბენ ამ კონვენციის ხელმომწერ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის დიდ მნიშვნელობას,

დარწმუნებულნი არიან საზოგადოების კორუფციისგან დაცვისათვის, საერთო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის გატარების პრიორიტეტულობაში, სათანადო კანონმდებლობისა და პრევენციული ზომების მიღების ჩათვლით,

ხაზს უსვამენ, რომ კორუფცია წარმოადგენს საფრთხეს სამართლის უზენაესობისათვის, დემოკრატიისათვის და ადამიანის უფლებებისათვის, საფუძველს უთხრის კარგ მმართველობას, სამართლიანობას და სოციალურ თანასწორობას, ხელს უშლის კონკურენციას, აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ინსტიტუტებს და საზოგადოების ზნეობრივ ფასეულობებს. სჯერათ, რომ კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა საჭიროებს ფართო, სწრაფ და კარგად ფუნქციონირებად საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლებრივ საკითხებში, მიესალმებიან ბოლოდროინდელ პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობენ კორუფციასთან ბრძოლის საქმეში საერთაშორისო ურთიერთგაგების და თანამშრომლობის განვითარებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროპის კავშირის ღონისძიებების ჩათვლით, მხედველობაში იღებენ 1996 წლის ნოემბერში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების გეგმას, რომელიც თან მოჰყვება ევროპის იუსტიციის მინისტრთა მე-19 კონფერენციის რეკომენდაციებს (ვალეტა, 1994), ყურადღებას აქცევენ ამ მიმართებით არა-წევრ სახელმწიფოთა მონაწილეობის მნიშვნელობას ევროპის საბჭოს საქმიანობაში კორუფციის წინააღმდეგ და მიესალმებიან მათ მნიშვნელოვან წვლილს შეტანილს კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამის განხორციელების საქმეში, ყურადღებას ამახვილებენ ევროპის იუსტიციის მინისტრთა 21 კონფერენციაზე (პრაღა, 1997) მიღებულ N 1 რეზოლუციაზე, რომელიც რეკომენდაციის სახით მიუთითებს კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამის სწრაფ განხორციელებაზე, და კერძოდ რაც შეიძლება სწრაფ მიღებას სისხლის სამართლის კონვენციისა კორუფციაზე, რომელიც ითვალისწინებს კორუფციის დანაშაულთა კოორდინირებულ ინკრიმინაციას, გაძლიერებულ თანამშრომლობას ამ სახის დანაშაულების მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებაში და შემდეგ ეფექტურ მექანიზმს ხელმისაწვდომს წევრ და არაწევრ სახელმწიფოებისათვის თანაბრად, მხედველობაში იღებენ, რომ ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა 1997 წლის 10-11 ოქტომბერს სტრასბურგში ჩატარებულ მათ მეორე სამიტზე გადაწყვიტეს კორუფციის ზრდით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად საერთო გზების შემუშავება და მიიღეს მოქმედების გეგმა, რომელიც კორუფციასთან, ასევე ამ სახის დანაშაულის კავშირებთან ორგანიზებულ დანაშაულთან და ფულის გათეთრების დანაშაულთან, ბრძოლაში თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით, მიუთითებს მინისტრთა კომიტეტს კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამის შესაბამისად საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების სწრაფი დასრულების უზრუნველყოფაზე,

მხედველობაში იღებენ 1997 წლის 6 ნოემბერს მინისტრთა კომიტეტის 101-ე სესიაზე მიღებულ (97) 24 რეზოლუციას კორუფციასთან ბრძოლის 20 ძირითადი პრინციპის შესახებ, რომელიც ხაზს უსვამს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავების სწრაფი დასრულების აუცილებლობას კორუფციის წინააღმდეგ მოქმედების პროგრამის შესაბამისად

ითვალისწინებენ მონიტორთა კომიტეტის 1998 წლის 4 მაისის 102 სესიაზე მიღებული (98) 7 რეზოლუციას რომელიც ადასტურებს ნაწილობრივ და გაფართოებულ შეთანხმებას “კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფ”-ის (GRECO) შექმნაზე, რომელიც მიზნად ისახავს მის წევრ სახელმწიფოთა უნარიანობის გაზრდას კორუფციასთან ბრძოლის საქმეში, ამ სფეროში მათ მიერ წამოწყებული ღონისძიებების შესრულების გზით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I ტერმინების ხმარება

მუხლი 1 - ტერმინების ხმარება

განმარტებები

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

- ა) “სახელმწიფო მოხელე” ნიშნავს ქვეყნის შიდა სამართალში მოცემულ, რომელიც ითვალისწინებს პირის ასეთ ფუნქციას, და მის სისხლის სამართალში გამოყენებულ, “ოფიციალურ პირს”, “თანამდებობის პირს”, “მინისტრს” ან “მოსამართლეს”;
- ბ) ტერმინი “მოსამართლე” ნიშნავს პროკურორს და სასამართლოს თანამდებობის პირებს;
- გ) ისეთი სამართალწარმოების დროს, რომელშიც მონაწილეობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელე, ქვეყანა რომელიც ახორციელებს სამართალწარმოებას იყენებს სხვა სახელმწიფოს სამართლით მოცემულ სახელმწიფო მოხელის განმარტებას მხოლოდ იმ წილად რამდენადაც ის შეესაბამება მისი შიდა სამართლით მოცემულ განმარტებას;
- დ) “იურიდიული პირი” ნიშნავს ერთეულს რომელსაც აქვს ასეთი სტატუსი მოქმედი შიდა სამართლით, სახელმწიფო ხელისუფლების განმახორციელებელი სახელმწიფოების ან სახელმწიფო ორგანოების ან საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკლებით;

თავი II ზომები რომლებიც უნდა იქნეს მიღებული ქვეყნის შიგნით

მუხლი 2 - ქვეყნის სახელმწიფო მოხელეთა აქტიური მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გამოიხატება ნებისმიერი პირის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მისი რომელიმე სახელმწიფო მოხელისათვის, ამ სახელმწიფო მოხელის ან სხვა პირის ინტერესებისკენ მიმართული, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში ან ამ უპირატესობის დაპირებასა თუ შეთავაზებაში, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

მუხლი 3 - ქვეყნის სახელმწიფო მოხელეთა პასიური მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გამოიხატება მისი ნებისმიერი სახელმწიფო მოხელის მიერ განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავისთვის ან სხვისთვის, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემის მოთხოვნაში ან ამ უპირატესობის მიღებაში, ან ასეთი უპირატესობის შეთავაზებისა თუ დაპირების მიღებაში, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი ფუნქციით გათვალისწინებული მოქმედებისგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

მუხლი 4 - ქვეყნის ასამბლეათა წევრების მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც მოცემულია მე-2 და მე-3 მუხლებში და რომლებშიც მონაწილეობს ქვეყნის ნებისმიერი ასამბლეის წევრი, თავისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხელისუფლების განხორციელებისას.

მუხლი 5 - უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელეთა მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც მოცემულია მე-2 და მე-3 მუხლებში და რომლებშიც მონაწილეობს უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელე.

მუხლი 6 - უცხო ქვეყნის ასამბლეათა წევრების მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც მოცემულია მე-2 და მე-3 მუხლებში და რომლებშიც მონაწილეობს უცხო ქვეყნის ასამბლეის წევრი, თავისი საკრებულო და ადმინისტრაციული ხელისუფლების განხორციელებისას.

მუხლი 7 - აქტიური მექრთამეობა კერძო სექტორში

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გამოიხატება პირის მიერ თავის საქმიანობის განხორციელებისას, განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, იმ პირებისათვის რომლებიც მუშაობენ ან მართავენ მათივე კომპეტენციიდან გამომდინარე კერძო სექტორის ერთეულებს, ამ პირებისათვის ან სხვისთვის, გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში ან ამ უპირატესობის მიცემის დაპირებისა თუ შეთავაზებაში, მისთვის ან სხვისთვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი მოვალეობით გათვალისწინებული მოქმედებისგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

მუხლი 8 - პასიური მექრთამეობა კერძო სექტორში

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გამოიხატება იმ პირების მიერ, რომლებიც მუშაობენ ან მათივე კომპეტენციიდან გამომდინარე მართავენ კერძო სექტორის ერთეულებს, თავის საქმიანობის განხორციელებისას, განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავიანთთვის ან სხვისთვის, გაუმართლებელი უპირატესობის, ან მისი დაპირების, მოთხოვნაში ან მიღებაში, ან ამ უპირატესობის შეთავაზებასა თუ დაპირებაზე თანხმობაში ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ან სამსახურებრივი მოვალეობით გათვალისწინებული მოქმედებისგან თავის შეკავების სანაცვლოდ.

მუხლი 9 - საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეების მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც მოცემულია მე-2 და მე-3 მუხლებში და რომლებშიც მონაწილეობს მოხელე ან სხვა სამტატო

მოხელე ან სხვა საშტატო თანამშრომელი ისეთი საერთაშორისო ან ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა ან ორგანოსი, რომლის წევრიც მხარე სახელმწიფოა, ან ისეთი პირი, მიუხედავად ამისა იგი ვინმეს დაქვემდებარებაშია თუ არა, რომელიც ახორციელებს ასეთი მოხელეების და აგენტების მსგავს ფუნქციებს.

მუხლი 10 - საერთაშორისო საპარლამენტო ასამბლეის წევრთა მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც მოცემულია მე-4 მუხლში და რომლებშიც მონაწილეობენ იმ საერთაშორისო ან ზესახელმწიფოებრივი ორგანიზაციების წევრები, რომლებშიც გაწევრიანებულია მხარე სახელმწიფო.

მუხლი 11 - საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეთა და მოხელეთა მექრთამეობა

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც მოცემულია მე-2 და მე-3 მუხლებში და რომლებშიც მონაწილეობენ იმ საერთაშორისო სასამართლოს თანამდებობის პირები და მოხელეები, რომლის იურისდიქციაც აღიარებულია მხარე სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 12 - შუამავლობა უარყოფითი გავლენის მოხდენაში

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გამოიხატება განზრახ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, რაიმე გაუმართლებელი უპირატესობის მიცემაში, ან ამ უპირატესობის მიცემის დაპირებაში ან შეთავაზებაში მისთვის ვინც ასაბუთებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია მოახდინოს უარყოფითი გავლენა მე-2, 4, 5, 6 და მე-9, 10, 11 მუხლებში აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე, იმის მიუხედავად ეს გაუმართლებელი უპირატესობა ემსახურება ასეთ პირს თუ ვინმე სხვას, ასევე ამგვარ გავლენასთან მიმართებაში ასეთი უპირატესობის მოთხოვნა, მიღება ან თანხმობა ამგვარი უპირატესობის შეთავაზებაზე ან დაპირებაზე, მიუხედავად იმისა ეს გავლენა განხორციელდა თუ არა, ან ამგვარ გავლენას შეიძლება თუ არა მოჰყვეს წინასწარ განზრახული შედეგები.

მუხლი 13 - კორუფციის დანაშაულით მოპოვებული ფულის გათეთრება

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს N 141 კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით, და თუ ამ პუნქტებით მოცემული განზრახ დანაშაული შეიცავს ამ კონვენციის მე-2-12 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ნიშნებს და თუ მხარეს არ გაუკეთებია დათქმა ან განცხადება ამ მუხლებით მოცემული დანაშაულის მიმართ ან არ მიიჩნევს ამ დანაშაულებს სერიოზულ დანაშაულებად ფულის გათეთრებაზე თავის კანონმდებლობით.

მუხლი 14 - საბუღალტრო საქმიანობის წარმოებისას ჩადენილი დანაშაული

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედებისათვის სისხლის სამართლებრივი ან სხვაგვარი სანქციის დადგენისათვის, რომელიც გამოიხატება განზრახ მოქმედებაში ან უმოქმედობაში,

მიმართულს მე-2-12 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისაკენ, დამალვისკენ ან დაფარვისკენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეს არ გაუკეთებია დათქმა ან განცხადება:

ა. მცდარი და არასრული ინფორმაციის შემცველი ფაქტურის ან სხვა ნებისმიერი საბუღალტრო საბუთის ან რეგისტრის შექმნა ან გამოყენება;

ბ. გადასახდელების რეგისტრის შედგენისას უკანონო უმოქმედობა.

მუხლი 15 - წაქეზება ან დახმარება დანაშაულის ჩადენაში

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ქვეყნის შიდა სამართალში იმ ქმედების სისხლის სამართლებრივ დანაშაულად დასადგენად, რომელიც გამოიხატება კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის დახმარებაში ან ამ დანაშაულის ჩადენის წაქეზებაში.

მუხლი 16 - იმუნიტეტი

ამ კონვენციის დებულებები არ უნდა იქნას გაგებული როგორც ზიანის მიმყენებელი ნებისმიერი ხელშეკრულებისა, ოქმისა ან წესდების ასევე მათი იმპლემენტაციის ტექსტების დებულებებისა, იმუნიტეტის მოხსნის მიმართებით.

მუხლი 17 - იურისდიქცია

1. ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ამ კონვენციის 2-14 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელების დასადგენად, თუ:

ა. დანაშაული ჩადენილია სრულად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე;

ბ. დამნაშავე არის სახელმწიფოს მოქალაქე, სახელმწიფო მოხელე ან მისი რომელიმე ასამბლეის წევრი;

გ. დანაშაულში მონაწილეობდა სახელმწიფოს რომელიმე მოხელე ან მისი რომელიმე ასამბლეის წევრი ან მე-9-11 მუხლებში მოცემული პირი, რომელიც არის ამავდროულად მისი მოქალაქე.

2. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია კონვენციის ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტების დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მიმართული დეკლარაციით, განაცხადოს რომ ის ინარჩუნებს უფლებას განსაკუთრებულ შემთხვევებში და გარემოებებში გამოიყენოს ამ მუხლის 1. ა და ბ პუნქტებით ან ამ მუხლის სხვა ნაწილით გათვალისწინებული იურისდიქციის მარეგულირებელი ნორმები.

3. თუ მხარემ გამოიყენა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დათქმის გაკეთების უფლება, მან უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებზე იურისდიქციის გავრცელებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ექსტრადიჯიაზე მოთხოვნის შემდეგ დამნაშავედ მიჩნეული პირი იმყოფებოდა მის ტერიტორიაზე და იგი არ აპირებს მეორე მხარისათვის მის გადაცემას, მხოლოდ მის ეროვნებაზე დაყრდნობით.

4. ეს კონვენცია არ გამორიცხავს მხარე სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლებრივი იურისდიქციის გავრცელებას მისი შიდა სამართლის შესაბამისად.

მუხლი 18 - იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

1. ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო იურიდიული პირებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისათვის ამ კონვენციით გათვალისწინებული აქტიური მექრთამეობის, შუამდგომლობის უარყოფითი გავლენის მოხდენისას და ფულის გათეთრების დანაშაულების ჩადენისათვის, ჩადენილს იურიდიული პირისათვის სარგებლობის მოპოვების მიზნით, იმ ფიზიკური პირის მიერ, ინდივიდუალურად ან იურიდიული პირის სახელით, რომელსაც ეკავა წამყვანი თანამდებობა

იურიდიული პირის შიგნით შემდეგზე დაყრდნობით:

- იურიდიული პირის წარმოდგენის უფლება;
- იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღების უფლება;
- იურიდიული პირის შიგნით კონტროლის განხორციელების უფლება.

ასევე იმ ფიზიკური პირის, როგორც თანამონაწილისა ან წამქეზებლის მონაწილეობა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებში.

2. გარდა იმ შემთხვევებისა რომლებიც მოცემულია 1-ლი პუნქტით, ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს საჭირო ზომები რათა უზრუნველყოს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, როცა 1 პუნქტში აღნიშნული ფიზიკური პირის მიერ ზედამხედველობის და კონტროლის ნაკლებობამ შესაძლებელი გახადოს 1 პუნქტში მოცემული დანაშაულის ჩადენა ფიზიკური პირის მიერ, იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელშიც მოღვაწეობდა.

3. 1 და 2-ე პუნქტებით გათვალისწინებული იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ უნდა გამოიცხადდეს სისხლის სამართლებრივ სასამართლო წარმოებას იმ ფიზიკური პირების წინააღმდეგ, რომლებიც არიან 1 პუნქტში ჩამოთვლილი დანაშაულების თანამონაწილეები, წამქეზებლები ან განმეორებით ჩამდენები ანუ რეციდივისტები.

მუხლი 19 - სანქციები და ზომები

1. ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულების სერიოზული ხასიათის გათვალისწინებით, ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, მე-14 მუხლებში აღნიშნული დანაშაულების მიმართებით, ეფექტური, სათანადო და გადამწყვეტი სანქციები და ზომები, აგრეთვე სასჯელები, თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით და შემდგომში ექსტრადიციის განხორციელებით, თუ დანაშაული ჩადენილია ფიზიკური პირების მიერ.

2. ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მე-18 მუხლის 1 და 2 პუნქტების შესაბამისად იურიდიული პირის პასუხისმგებლობა, ეფექტური, სათანადო და გადამწყვეტი სისხლის ან არასისხლისამართლებრივი სანქციები, ფულადი სანქციების ჩათვლით.

3. ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულების ჩადენის საშუალებების ან ასეთი დანაშაულით მიღებული შემოსავლის ადეკვატური ღირებულების ქონების კონფისკაციისათვის ან ჩამორთმევისათვის.

მუხლი 20 - სპეციალიზირებული ორგანოები

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს პირების ან გაერთიანებების კორუფციასთან ბრძოლაში სპეციალიზაცია. ისინი უნდა სარგებლობდნენ საჭირო დამოუკიდებლობით სახელმწიფოს შიდა სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რათა შესძლონ მათი ფუნქციების ეფექტური და უარყოფითი ზეწოლისაგან თავისუფალი განხორციელება. მხარე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი გაერთიანებების სამტატო შემადგენლობისათვის საქმიანობის შესაბამისი მომზადება და ფინანსური დახმარება.

მუხლი 21 - თანამშრომლობა ეროვნულ ორგანოებთან და ეროვნულ ორგანოებს შორის

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სახელმწიფო ორგანოებმა, ისევე როგორც ნებისმიერმა სახელმწიფო მოხელეებმა ითანამშრომლონ, შიდა სამართლის შესაბამისად, საგამომძიებო და მართლმსაჯულების აღმასრულებელ ორგანოებთან:

ა. თავისი ინიციატივით ამ ორგანოების ინფორმირებით, როდესაც არის საკმარისი საფუძველი იმის ვარაუდისა, რომ 2-14 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთაგან ჩადენილ იქნა, ან
ბ. მოთხოვნის შემთხვევაში, ამ ორგანოების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფით.

მუხლი 22

ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ეფექტური და სათანადო დაცვა ვინც:

ა. ატყობინებს საგამომძიებლო და მართლმსაჯულების აღმასრულებელ ორგანოებს 2-14 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის შესახებ, ან სხვაგვარად თანამშრომლობს მათთან;
ბ. ამ დანაშაულებზე ჩვენებას აძლევს როგორც მოწმე.

მუხლი 23 - მტკიცებულების შეგროვების და შემოსავლების კონფისკაციის გამაადვილებელი ზომები

1. ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს, შიდა სამართლის შესაბამისად, ამ კონვენციის 2-14 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებთან დაკავშირებული მტკიცებულების შეგროვების გაადვილებისათვის, სპეციალური საგამომძიებო ტექნიკის გამოყენებაზე ნების დართვის ჩათვლით, აგრეთვე ამ კონვენციის 3-14 მუხლებში მოცემული ზომების დაქვემდებარებაში მყოფი კორუფციის დანაშაულის ჩადენის საშუალებების და ამავე დანაშაულით მოპოვებული შემოსავლის ან ასეთი შემოსავლის ადეკვატური ღირებულების ქონების ამოცნობისათვის, დადგენისათვის, გაყინვისათვის ან ჩამორთმევისათვის.

2. ყოველმა მხარემ უნდა მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები რომლებიც შეიძლება იყოს საჭირო მისი სასამართლოების და კომპეტენტური ორგანოებისათვის უფლებამოსილების გადაცემისათვის, რათა ბანკის, ფინანსური და კომერციული რეგისტრები იყოს ხელმისაწვდომი ან ჩამორთმეული ამ მუხლის 1 პუნქტებში მოცემული მოქმედებების განსახორციელებლად.

3. ბანკის საიდუმლოება არ უნდა იყოს შეფერხება ამ მუხლის 1-2 პარაგრაფებით მოცემული ზომებისათვის.

თავი III განხორციელების მონიტორინგი

მუხლი 24 - მონიტორინგი

კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფმა (GRECO) უნდა მოახდინოს მხარე სახელმწიფოთა მხრიდან ამ კონვენციის შესრულების მონიტორინგი.

თავი IV საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 25 - ძირითადი პრინციპები და ზომები საერთაშორისო თანამშრომლობისათვის

1. მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან სისხლის სამართლებრივ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობაზე მართებული საერთაშორისო დოკუმენტების, ან ერთნაირი ან თანამშრომლობითი ხასიათის კანონმდებლობის საფუძველზე შეთანხმებული შეთანხმებების შესაბამისად და მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში შიდა სამართლის შესაბამისად, ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების შესახებ სამართალწარმოების ან მათი გამოძიების მიზნით.

2. თუ მხარეთა შორის არ არსებობს 1 პუნქტში აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი ან შეთანხმება, გამოიყენება ამ თავის 26-31 მუხლები.

3. ამ თავის 26-31 მუხლები გამოიყენება მაშინაც, როდესაც ისინი უფრო ხელსაყრელია ვიდრე 1 პუნქტში აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტები ან შეთანხმებები.

მუხლი 26 - ურთიერთდახმარება

1. მხარეებმა უნდა გაუწიონ ერთმანეთს დახმარება, შიდა სამართლის შესაბამისად, იმ ორგანოების მიერ მოთხოვნის სწრაფად შესასრულებლად, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება ამ კონვენციით დადგენილი დანაშაულების გამოძიებისათვის და მათზე მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

2. ამ მუხლის 1 პუნქტებში გათვალისწინებული თანამშრომლობა სამართლებრივ საკითხებში შეიძლება არ იქნას განხორციელებული თუ თხოვნის მიმღები მხარე თვლის, რომ მოთხოვნის შესრულება ზიანს მიაყენებს მის ძირითად ინტერესებს, ეროვნულ სუვერენიტეტს, ეროვნულ უსაფრთხოებას ან საზოგადოებრივ წესრიგს.

3. მხარეებმა არ უნდა მოიყვანონ ბანკის საიდუმლოების არგუმენტი, როგორც ამ თავით მოცემული თანამშრომლობაზე უარის თქმის საფუძველი. თუ შიდა სამართალი ასე ითვალისწინებს, მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ მოთხოვნა ისეთ თანამშრომლობაზე, რომელიც შეიძლება მიოცავდეს ბანკის საიდუმლოების გახსნას, უნდა შესრულდეს ან მოსამართლის ან სასამართლოს

სხვა მოხელის, პროკურორის ან დანაშაულის საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანოების თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 27 - ექსტრადიცია

1. ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულები უნდა იქნეს მიჩნეული მხარეთა შორის ექსტრადიციაზე არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსტრადიციას დაქვემდებარებადი დანაშაულის სახეობათა შორის. მხარეები აგრეთვე იღებენ ვალდებულებას ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულები შეიტანონ მათ შორის მომავალში ექსტრადიციის შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში, როგორც ექსტრადიციას დაქვემდებარებადი დანაშაულები.

2. თუ ისეთი მხარე რომელიც ექსტრადიციის განხორციელების პირობად მიიჩნევს ხელშეკრულების არსებობას, მიიღებს მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ იმ სახელმწიფოსგან, რომელთანაც არ აქვს დადებული ხელშეკრულება ექსტრადიციაზე, მან ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების მიმართებით, უნდა გამოიყენოს ეს კონვენცია როგორც სამართლებრივი საფუძველი ექსტრადიციისათვის.

3. მხარეებმა რომლებსაც ექსტრადიციის განხორციელების პირობად არ მიაჩნიათ ხელშეკრულების არსებობა, ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულები უნდა აღიარონ, როგორც ექსტრადიციის დაქვემდებარებადი დანაშაულები მათ შორის მის განსახორციელებლად.

4. ექსტრადიცია უნდა ექვემდებარებოდეს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს სამართლის და ექსტრადიციის შესახებ მოქმედი ხელშეკრულების პირობებს, იმ საფუძვლის ჩათვლით რაზე დაყრდნობითაც მომთხოვნ სახელმწიფოს შეიძლება ეთქვას უარი.

5. თუ ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ექსტრადიციაზე მომთხოვნ მხარეს ეთქვა უარი მხოლოდ ძეგნილი პირის რაციონალურობაზე დაყრდნობით რომ თხოვნის მიმღები მხარე თვლის ამ დანაშაულზე მისი იურისდიქციის გავრცელებადობას, ამ უკანასკნელმა უნდა გადასცეს საქმე შესაბამის ორგანოებს დამნაშავის მართლმსაჯულების მიცემისათვის თუ მომთხოვნ მხარესთან სხვაგვარად არ შეთანხმებს, ხოლო შემდეგ კი შესაბამისი პროცედურით აცნობოს მომთხოვნ მხარეს საბოლოო შედეგი.

მუხლი 28 - სპონტანური ინფორმაცია

მხარეს შეუძლია თხოვნის არ არსებობისას საკუთარი ინიციატივით ინფორმაცია მიაწოდოს ფაქტების

შესახებ მეორე მხარეს, თავის მიერ წარმოებული გამოძიების ან სამართალწარმოების ზიანის მიუყენებლად, როდესაც იგი ჩათვლის რომ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება დაეხმაროს ინფორმაცია მიწოდებულ მხარეს ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების მიმართებით გამოძიების ან სამართალწარმოების დასაწყებად ან დასასრულებლად, ან როდესაც იგი ჩათვლის რომ ინფორმაციის მიწოდებამ შეიძლება ამ თავში გათვალისწინებული მოთხოვნა წარმოშვას ამ სახელმწიფოს მხრიდან.

მუხლი 29 - ცენტრალური ორგანო

1. ყოველმა მხარემ უნდა განაწესოს ცენტრალური ორგანო ან, თუ ჩათვლის საჭიროდ რამოდენიმე ცენტრალური ორგანო, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ამ თავში მოცემული მოთხოვნის გაგზავნა-პასუხზე, შესრულებაზე ან შესასრულებლად კომპეტენტურ ორგანოებთან გადაგზავნაზე.
2. ყოველი მხარე ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტების დეკონირებისას უნდა დაუკავშირდეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს და შეატყობინოს ამ მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების სახელი და მისამართი.

მუხლი 30 - პირდაპირი კავშირი

1. ცენტრალური ორგანოები პირდაპირ დაუკავშირდებიან ერთმანეთს.
2. განსაკუთრებული სასწრაფოობის შემთხვევაში მოთხოვნა ურთიერთდახმარებაზე ან დაკავშირებაზე შეიძლება გაგზავნილ იქნას მოთხოვნილი მხარის სასამართლო ორგანოების მიერ, პროკურორების ჩათვლით, თხოვნის მიმღები მხარის შესაბამის ორგანოებში. ასეთ შემთხვევებში, მოთხოვნის ასლი იმავდროულად უნდა გადაეგზავნოს თხოვნის მიმღები მხარის ცენტრალურ ორგანოს მოთხოვნილი მხარის ცენტრალური ორგანოს მეშვეობით.
3. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნა ან დაკავშირება შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (INTERPOL) მეშვეობით.
4. როდესაც მოთხოვნა გაკეთებულია მეორე პუნქტის შესაბამისად და მისი მიმღები ორგანო არაკომპეტენტურია განიხილოს ეს საკითხი, მაშინ ეს ორგანო აღნიშნულ მოთხოვნას გადასცემს კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს, რის შესახებაც უშუალოდ აცნობებს მომთხოვნ მხარეს.
5. ამ მუხლის მეორე პარაგრაფით გათვალისწინებული მოთხოვნა ან დაკავშირება, რომელიც არ ითვალისწინებს იძულებით ზომებს, შეიძლება პირდაპირ გადაეგზავნოს მომთხოვნი მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ თხოვნის მიმღები მხარის კომპეტენტურ ორგანოებს.
6. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტების დეკონირების შემდეგ ამ თავში გათვალისწინებული მოთხოვნების ქმედითობის უზრუნველყოფის მიზნით, შეუძლია აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომ ეს მოთხოვნები გაეგზავნოს უშუალოდ მის მთავარ ორგანოებს.

მუხლი 31 - ინფორმაცია

თხოვნის მიმღები მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მომთხოვნ მხარეს ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნის შედეგად განხორციელებული მოქმედებების და მათი საბოლოო შედეგების შესახებ. თხოვნის მიმღები მხარე აცნობებს მომთხოვნ მხარეს იმ გარემოებების არსებობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად აგვიანებს ან საერთოდ შეუძლებელს ხდის აღნიშნულ მოქმედებათა განხორციელებას.

თავი V დასკვნითი დებულებები

მუხლი 32 - ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. კონვენცია ღია იქნება ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის და იმ არაწევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში. ასეთ სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი თანხმობა ვალდებულებათა აღიარების შესახებ:
 - ა. რატიფიკაციასთან, მიღებასთან ან დამტკიცებასთან მიმართებაში ხელმოწერით დათქმების გაკეთების გარეშე, ან
 - ბ. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების მომდევნო ხელმოწერით ანუ რაც მოჰყვება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას.
2. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დოკუმენტები დეპონირებულ უნდა იქნას ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.
3. კონვენცია ძალაში შევა, პირველი პუნქტის დებულებების შესაბამისად, ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ 14 სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი რატიფიკაციის მომენტისათვის, ავტომატურად გახდება წევრი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.
4. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე, კონვენცია ძალაში შევა პირველი პუნქტის დებულებების შესაბამისად ამ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ მის მიერ თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს. ნებისმიერი ხელმოწერი სახელმწიფო, რომელიც არ არის კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი რატიფიკაციის მომენტისათვის, ამ მიმართებით ავტომატურად გახდება წევრი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 33 - კონვენციაზე შეერთება

1. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს კონვენციის მონაწილე მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ შეუძლია მოიწვიოს ევროგაერთიანება, ისევე როგორც ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოები, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ამ კონვენციის შემუშავებაში, რათა ისინი მიუერთდნენ კონვენციას, ევროპის საბჭოს წესდების მე-45-20 მუხლით გათვალისწინებული უმრავლესობით და მინისტრთა კომიტეტში კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენელთა ერთსულოვანი ხმებით.
2. ევროგაერთიანებასა და იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც კონვენციას უერთდებიან ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კონვენცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მიერთების დოკუმენტის დეპონირების დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს. ევროგაერთიანება ან ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც უერთდება ამ კონვენციას და რომელიც არ არის კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) წევრი მიერთების მომენტისათვის, ავტომატურად გახდება წევრი კონვენციის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 34 - ტერიტორიული იურისდიქცია

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტების დეპონირებისას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებსაც შეეხება ეს კონვენცია.
2. ნებისმიერ მხარეს უფრო გვიანი თარიღით შეუძლია მიმართოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს დეკლარაციით, რომელშიც იგი გააფართოვებს ამ კონვენციის მოქმედებას დეკლარაციაში განსაზღვრულ ტერიტორიებთან შედარებით. აღნიშნულ ტერიტორიებთან მიმართებაში კონვენცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამგვარი დეკლარაციის მიღების დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. ნებისმიერი დეკლარაცია გაკეთებული ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად შეიძლება გამოთხოვილ იქნას უკან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნით. აღნიშნული შეტყობინება ძალას შეიძენს გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველი დღიდან.

მუხლი 35 - სხვა კონვენციებთან და შეთანხმებებთან ურთიერთობა

1. ამ კონვენციას გავლენა არ ექნება სპეციალური ხასიათის სხვა მრავალმხრივი საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე უფლებებსა და ღონისძიებებზე.
2. ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით მისი დებულებების ხელშეწყობის ან გაძლიერების, ან მასში ჩადებული პრინციპების განხორციელების გაადვილების მიზნით კონვენციის მონაწილე მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთთან დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები.
3. თუ ორ ან მეტ მხარეს უკვე დადებული აქვთ შეთანხმება ან ხელშეკრულება, რომელიც ეხება ამ კონვენციის რეგულირების საგანს, ან ერთმანეთთან დამყარებული აქვთ ურთიერთობა ამ საგანთან დაკავშირებით, ისინი უფლებამოსილი არიან გამოიყენონ ეს შეთანხმებები ან ხელშეკრულებები, ან დაარეგულირონ აღნიშნული ურთიერთობები ამ კონვენციის შესაბამისად, თუ ეს აადვილებს საერთაშორისო თანამშრომლობას.

მუხლი 36 - განცხადებები

ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტების დეპონირებისას გააკეთოს განცხადება, რომლითაც იგი სისხლის სამართლის დანაშაულად ადგენს მე-11 მუხლის შესაბამისად- საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეთა და თანამდებობის პირთა, მე-9 მუხლის შესაბამისად- საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა, მე-5 მუხლის შესაბამისად- უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელეთა აქტიურ და პასიურ მექრთამეობას იმ მოცულობით, როცა მოსამართლე ან თანამდებობის პირი მოქმედებს ან თავს იკავებს მისი მოვალეობების გათვალისწინებული მოქმედებისაგან.

მუხლი 37 - დათქმები

1. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დოკუმენტების დეპონირებისას დაიტოვოს უფლება მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დანაშაულად არ აღიაროს, მთლიანად ან ნაწილობრივ ამ კონვენციის მე-4, მე-6-8, მე-10 და მე-12, ან მე-5 მუხლებით გათვალისწინებული პასიური მექრთამეობის დანაშაულები.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიერთების, დამტკიცების ან მიღების დოკუმენტის დეპონირებისას შეუძლია განაცხადოს, რომ ის სარგებლობს მე-2 პუნქტის მე-17 მუხლით გათვალისწინებული დათქმის გაკეთების უფლებით.
3. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიერთების, დამტკიცების ამ მიღების დოკუმენტის დეპონირებისას შეუძლია უარი განაცხადოს პირველი პარაგრაფის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთდახმარებაზე, თუ მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მოთხოვნის მხარე თვლის პოლიტიკურ დანაშაულად.
4. არცერთ სახელმწიფოს აქვს უფლება ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული დათქმა გააკეთოს აღნიშნული ხუთი მუხლის მიმართ. ნებისმიერი სხვა მუხლის მიმართ დათქმა დაუშვებელია. ერთი და იგივე ხასიათის დათქმა გაკეთებული მე-4, მე-6 და მე-10 მუხლების მიმართ განიხილება ერთ დათქმად.

მუხლი 38 - განცხადებებისა და დათქმების მართებულობა და გადასინჯვა

1. 36-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადება და 37-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმა მისი გამკეთებელი სახელმწიფოსათვის ძალაში იქნება ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში. თუმცა დეკლარაციები და დათქმები შეიძლება განახლებული იქნას იგივე ხანგრძლივობის პერიოდით.

2. დეკლარაციის ან დათქმის მოქმედების ვადის გასვლის დღემდე თორმეტი თვით ადრე ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნო ატყობინებს დაინტერესებულ სახელმწიფოს ამ ფაქტის შესახებ.

ვადის გასვლამდე არაუგვიანეს სამი თვისა სახელმწიფო ატყობინებს გენერალურ სამდივნოს დეკლარაციის ან დათქმის გაგრძელებას, მასში დამატებების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ.

დაინტერესებული სახელმწიფოს ამგვარი შეტყობინების არ არსებობის შემთხვევაში გენერალური სამდივნო ატყობინებს ამ სახელმწიფოს მის მიერ გაკეთებული დეკლარაციის ან დათქმის მოქმედების ვადის ექვსი თვით ავტომატურად გაგრძელების შესახებ. ამ ვადის გასვლამდე სახელმწიფოს მიერ მისი დეკლარაციის ან დათქმის გაგრძელების ან მოდიფიცირების შესახებ შეტყობინების არ არსებობის შემთხვევაში ეს დეკლარაცია ან დათქმა ძალადაკარგულად ჩაითვლება.

3. 36-ე და 37-ე მუხლებით გათვალისწინებული დეკლარაციის ან დათქმის გაკეთებისას სახელმწიფო მის განახლების ან გაკეთებისას წარუდგენს GDECO-ს განმარტებას მისი გაგრძელების საფუძვლების შესახებ.

მუხლი 39 - შესწორებები

1. შესწორებები შეიძლება შემოთავაზებულ იქნას ამ კონვენციის ნებისმიერი მხარის მიერ და იგი უნდა მიეწოდოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს და იმ არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ ამ კონვენციას ან მიწვეულნი იყვნენ შეერთებოდნენ მას 33-ე მუხლის დებულებების შესაბამისად.

2. ნებისმიერი შესწორება გადაეცემა დანაშაულებრიობის პრობლემების ევროპულ კომიტეტს, რომელიც მიაწოდებს თავის შეხედულებას შემოთავაზებულ შესწორებებთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტს.

3. მინისტრთა კომიტეტი განიხილავს შემოთავაზებულ შესწორებას და დანაშაულებრიობის პრობლემების ევროპული კომიტეტის შეხედულებას აღნიშნულ დამატებასთან დაკავშირებით და არაწევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციების შემდგომ შეიძლება მიიღოს ეს შესწორება.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული შესწორების ტექსტი გადაეგზავნება მონაწილე მხარეებს მისაღებად.

5. ამ მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შევა მისი მიღების შესახებ ყველა მხარის მიერ გენერალური მდივნის ინფორმირების მომენტიდან ოცდამეათე დღეს.

მუხლი 40 - დავების გადაჭრა

1. ევროპის საბჭოს დანაშაულებრიობის პრობლემების ევროპული კომიტეტი ინფორმირებულ იქნება ამ კონვენციის განმარტებისა და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის წამოიჭრება დავა ამ კონვენციის გამოყენებასა თუ განმარტებასთან დაკავშირებით, ისინი დავას გადაჭრიან მოლაპარაკების ან სხვა მშვიდობიანი გზით, მათ შორის გადაცემენ დავას დანაშაულებრიობის პრობლემების ევროპულ კომიტეტს, საარბიტრაჟო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება მხარეებისათვის, ან ურთიერთშეთანხმებით საერთაშორისო სასამართლოში.

მუხლი 41 - დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია.

2. დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან სამთვიანი

პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 42 - შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და იმ სახელმწიფოებს, რომლებიც შეუერთდნენ ამ კონვენციას:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ. რატიფიკაციის, მიერთების, მიღების ან დამტკიცების ნებისმიერი დოკუმენტის დეპონირების შესახებ;

გ. 32-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ. 36-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის ან დამატების შესახებ;

ე. ამ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოქმედების შეტყობინების ან დაკავშირების შესახებ.

რის დასტურადაც, სათანადოდ უფლებამოსილმა პირებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1999 წლის 27 იანვარს, ერთ პირად, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამტკიცებულ ასლებს გადაუგზავნის ევროპის საბჭოს ყოველ წევრს და იმ არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში, აგრეთვე მასზე შეერთების მოსურნე ყველა სახელმწიფოს.